სამოქალაქო საზოგადოება

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №8, 2023 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **„მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

საპარლამენტო არჩევნები საქართველოში 2008 – 2020

წყარო: ვიკიპედია – https://bit.ly/46QmlGK; რადიო თავისუფლება, საპარლამენტო არჩევნების ისტორია საქართველოში – https://bit.ly/3O9UIRR; საქართველოს არჩევნების ისტორია – https://bit.ly/3NZnu6t

VII მოწვევის პარლამენტი, ოპოზიციის ბოიკოტი

2008 წელი

21 მაისი

ვადა – 2008-2012 წ.წ.

ბარიერი – 5%

სულ დეპუტატების რაოდენობა – 150, 73 მაჟორიტარული, 77 პროპორციული წესით არჩეული

თავმჯდომარე – დავით ბაქრაძე

პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი

უმრავლესობა – ნაციონალური მოძრაობა, 119 დეპუტატი

არჩევნებში მონაწილეობდა – 12 პარტია და ბლოკი

საარჩევნოდ ოპოზიცია გაერთიანდა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული მილიარდერის, ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელის, ბადრი პატარკაციშვილის მხარდაჭერით. მმართველ პარტიასა და პრეზიდენტ სააკაშვილს ავტორიტარიზმსა და ძალაუფლების მიტაცებაში ადანაშაულებდნენ. „საერთო სახალხო მოძრაობის ეროვნულმა საბჭომ“ არჩევნების გაზაფხულზე დანიშვნასა და სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით 2 ნოემბერს, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების 5 წლისთავზე, პარლამენტის შენობის წინ „გადამწყვეტი მიტინგი“ გამართა, რომელიც ხელისუფლებამ 7 ნოემბერს ძალაუფლების გადაჭარბებით დაშალა. დაშავდა ასობით ადამიანი. სპეციალური დანიშნულების რაზმი შეიჭრა ტელეკომპანია „იმედში“ და მაუწყებლობა გათიშა ისე, რომ არანაირი საბუთი არ წარუდგენია. გათიშეს ტელეკომპანია „კავკასიაც“. 16 ნოემბრამდე ქვეყანაში იყო საგანგებო მდგომარეობა. პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგა. დანიშნა და გაიმარჯვა ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში.

ოპოზიციის მოთხოვნით, საპარლამენტო არჩევნებიც გაიმართა ვადამდე, გაზაფხულზე შემოდგომის ნაცვლად.

საარჩევნო ბარიერი გადალახა ოთხმა სუბიექტმა: – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველო“, გაერთიანებული ოპოზიცია, გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები, შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია.

მაჟორიტარული სისტემით მანდატები მხოლოდ სამმა სუბიექტმა მოიპოვა: „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის“, „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“.

ოპოზიციურმა პარტიებმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა გამოთქვეს შეშფოთება მმართველი პარტიის სასარგებლოდ მედიის მიკერძოებულობის, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებისა და საარჩევნო მანიპულირების სხვა ფორმების გამო.

ოპოზიციამ საპროტესტო აქციები და ბოიკოტი გააგრძელა არჩევნების შემდეგაც, 19-მა დეპუტატმა დემონსტრაციულად დაჭრა დეპუტატის მანდატი.

2010 წელს შეიცვალა სახელმწიფო მმართველობის ფორმა - საქართველოს საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა. შეიზღუდა პრეზიდენტის უფლებამოსილებები, 2012 წლიდან, კონსტიტუციით, პარლამენტის სამუდამო მდებარეობა ქუთაისშია... „ქართულმა ოცნებამ“ ეს რეალობა შეცვალა 2019 წელს.



VIII მოწვევის პარლამენტი, როცა შუა გაიკრიფა

2012 წელი

1 ოქტომბერი

ვადა – 2012 – 2016 წ.წ.

ბარიერი – 5%

სულ დეპუტატების რაოდენობა – 150, 73 მაჟორიტარული, 77 პროპორციული წესით არჩეული

თავმჯდომარე – დავით უსუფაშვილი

პრემიერ მინისტრი – ბიძინა ივანიშვილი (გადადგა 2013 წლის 20.11); ირაკლი ღარიბაშვილი - 20/11/2013-29/12/2015; გიორგი კვირიკაშვილი, 30/12/2015-13/06/2018.

უმრავლესობა – ქართული ოცნება – 85 დეპუტატი

არჩევნებში მონაწილეობდა – 16 პარტია და საარჩევნო ბლოკი

პრეცედენტი - ოპოზიციის გამარჯვება

ძირითადი არჩევანი 2 პოლიტიკურ ძალას – „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ – შორის კეთდებოდა. დაქსაქსული ოპოზიცია მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით გაერთიანდა. აქამდე უჩინარი მილიარდერი, პირადად მონაწილეობდა არჩევნებში და ყველა საარჩევნო კამპანიაში.

პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ბარიერი ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა გადალახა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“, საარჩევნო ბლოკი – „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“. ეს პრეცედენტი იყო ქართულ საპარლამენტო არჩევნებში – ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში უმრავლესობით მოვიდა. სააკაშვილმა აღიარა თავისი პარტიის დამარცხება.

არჩევნებამდე ხელისუფლება „სანქციებით“ ცდილობდა ივანიშვილის შეჩერებას, ოპოზიციის აქტივისტები დააკავა ადმინისტრაციული წესით, სათანადო მტკიცებულებების გარეშე. ხშირი იყო განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები როგორც საჯარო სამსახურში, ისე კერძო სექტორში.

ბიძინა ივანიშვილი:

„ჩვენს ოპონენტებს მოვექცევით არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც იმსახურებს ჩვენი ქვეყანა, ქართველი ხალხი, ჩვენი კულტურა.“

თორმეტი დღით ადრე არჩევნებამდე, ტელეკომპანიებმა გაავრცელეს ე.წ. „ციხის კადრები“ საპყრობილეში პატიმრების წამების ფაქტებით. კადრები საპატიმროს ყოფილმა თანამშრომელმა გაასაჯაროვა. ეს იყო ოცნების „კოზირი“.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნით, საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა უხვი კომპრომატების, დაპირისპირების, კანონდარღვევების, სიძულვილის ენის აქტიური გამოყენების, ძალადობრივი და აგრესიული შეჯახებების ფონზე. თითქოს კონკურენცია მიმდინარეობდა არა პოლიტიკურ პარტიებს შორის, არამედ სახელმწიფოსა და ოპოზიციას შორის, რაც განპირობებული იყო მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ფუნქციას შორის ზღვრის არარსებობით.

VIII მოწვევის პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა შრომის კოდექსში. ეს იყო ყველაზე მასშტაბური ცვლილებები, რომლებიც საქართველოს შრომის კოდექსში მისი მიღების დღიდან შესულა. დროებით, 2014 წლის ბოლომდე, აიკრძალა მიწების უცხოელებზე გაყიდვა.



საპარლამენტო არჩევნები საქართველოში 2008 – 2020

IX მოწვევის პარლამენტი, პოლარიზაციის დასაწყისი

2016 წელი

8 ოქტომბერი

30 ოქტომბერი II ტური

ვადა – 2016-2021 წ.წ.

ბარიერი – 5%

სულ დეპუტატების რაოდენობა – 150, 73 მაჟორიტარული, 77 პრპორციული წესით არჩეული

თავმჯდომარე – ირაკლი კობახიძე – 18/11/2016 – 21/06/2019; არჩილ თალაკვაძე – 25/06/2019 – 11/12/2020)

პრემიერ მინისტრი – გიორგი კვირიკაშვილი – გადადგა 2018 წ. ივნისში; მამუკა ბახტაძე – 20/06/2018 – 02/09/2019 წ. სექტემბერი; გიორგი გახარია – 2019 წ. სექტემბრიდან

უმრავლესობა – ქართული ოცნება – 115 დეპუტატი

არჩევნებში მონაწილეობდა – 25 საარჩევნო სუბიექტი

საარჩევნო კამპანიამ ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების, შანტაჟის, ოპონენტებზე თავდასხმისა და ფიზიკური ანგარიშსწორების შემთხვევების ფონზე ჩაიარა. იყო მხარდამჭერთა მობილიზება, დაარბიეს შენობა, სადაც საუბნო კომისია იყო განთავსებული. გავრცელდა ინფორმაცია საარჩევნო ყუთის გატაცებასთან დაკავშირებით.

მედია გარემოს კუთხით იყო ტელეკომპანიების მფლობელობასთან დაკავშირებით მიმდინარე დავები და რამ-

დენიმე თოქ-შოუს დახურვა. წინასაარჩევნო პერიოდში პრინციპულად მნიშვნელოვანია, მმართველი პოლიტიკური ჯგუფების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიის არსებობა. იყო კორცხელის ინციდენტი, ოპოზიციონერის მანქანის აფეთქება...

ბარიერი გადალახა სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა: ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

„ქართულმა ოცნებამ“ კენჭისყრის დასრულებისთანავე გამარჯვება გამოაცხადა. „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პარტიის შტაბ-ბინაში მხარდამჭერებს განუცხადა:

„გილოცავთ საქართველოს დიდ გამარჯვებას! ყველა წინასწარი შედეგით, ქართული ოცნება დიდი უპირატესობით ლიდერობს“.

ოპოზიცია არჩევნების გაყალბების გამო ბოიკოტზეც კი საუბრობდა, თუმცა საბოლოოდ პარლამენტში ყველა შევიდა.

საარჩევნო კამპანიიდან უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება პარლამენტში გაგრძელდა, რაც განსაკუთრებით გამწვავდა „გავრილოვის ღამის“ შემდეგ, რასაც ხელისუფლების მიერ საპროტესტო აქციის დარბევა და პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენება მოჰყვა.

X მოწვევის პარლამენტი, პოლარიზაცია

2020 წელი

31 ოქტომბერი

21 ნოემბერი II ტური

ვადა – 2020-2024 წ.წ.

ბარიერი – 5%

სულ დეპუტატების რაოდენობა – 150, პარტიული სიით – 120, მაჟორიტარი – 30. ამჟამად – 139 დეპუტატი

თავმჯდომარე – არჩილ თალაკვაძე – 11/12/2020 – 24/04/2021; კახა კუჭავა – 27/04/2021 – 24/12/2021, შალვა პაპუაშვილი – 2021 წლის 29 დეკემბრიდან

პრემიერ მინისტრი – გიორგი გახარია – 08/09/2019 – 18/02/2021; ირაკლი ღარიბაშვილი 2021 წლიდან დღემდე

უმრავლესობა – ქართული ოცნება, 90 დეპუტატი, ამჟამად – 83 დეპუტატი.

პრეცედენტი – ერთმა პარტიამ ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა არჩევნებში. არჩევნები ჩატარდა 25%-იანი გენდერული კვოტით

არჩევნებში მონაწილეობდა – 2 ბლოკი და 50 პოლიტიკური პარტია.

ბარიერი 9 საარჩევნო სუბიექტმა გადალახა.

„ქართულმა ოცნებამ“ მეორე ტურზე ყველა მანდატი მიიღო ოპოზიციის ბოიკოტის გამო და საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვა. ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადეს და პარლამენტში შესვლაზე უარი თქვეს. ისინი ახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვდნენ.

მთავარი ოპოზიციური პარტია იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ნიკა მელია ხელმძღვანელობდა, კიდევ ერთი ცნობილი ოპოზიციური ფიგურა იყო გიორგი გახარია და მისი პოლიტიკური პარტია „საქართველოსთვის“.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ შეძლო ოპერატიულობისა და ღიაობის მაღალი სტანდარტის ჩვენება, რის გამოც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოქვეყნების პროცესმა მოქალაქეებში კითხვის ნიშნები და მანიპულაციის განცდა გააჩინა.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) განცხადების თანახმად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა გამოიკვეთა, დაფიქსირდა წილისყრის წესის დარღვევაც. ოთხ საარჩევნო უბანზე დამკვირვებლებს შეეზღუდათ საარჩევნო უბანზე შესვლა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ განხორციელებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ **საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოსთვის კვლავ პრობლემურია.**

2020 წლის მეათე მოწვევის პარლამენტი დღემდე დიდი პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე მუშაობს, პოლიტიკური პოლარიზაციის აღმოფხვრა ერთ-ერთია საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებელ რეკომენდაციებში.

მოქალაქეთა აქტივობა საპარლამენტო არჩევნებში, 2008–2020 წლები

წელი	ტური	აქტივობა
2008	–	53.4%
2012	–	60.8%
2016	I - ტური	51.9%
	II - ტური	37.5%
2020	I - ტური	56.1%
	II - ტური	36.3%

2024 წელი ???

მორიგი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში 2024 წელს არის დაგეგმილი. ისევ 150 დეპუტატს ირჩევენ. 2017 წლის 26 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებები. შესაბამისად, **2024 წლიდან:**

- **პრეზიდენტს** არა პირდაპირი არჩევნებით, არამედ საარჩევნო კოლეგიის მეშვეობით აირჩევენ.
- უქმდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემაც და **პარლამენტი მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადავა.**
- **საარჩევნო ბლოკების შექმნა აღარ იქნება შესაძლებელი.**
- **5%-იანი** ბარიერი ძალაში დარჩება.
- კანდიდატის ასაკი არსებული 21 წლიდან **25 წლამდე** იზრდება.

როგორც 2020 წელს, არჩევნები **25%-იანი გენდერული კვოტით** ჩატარდება.

2023 წლის 6 თებერვალს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც საარჩევნო უბნების უმეტესობაში იმუშავებს ამომრჩეველთა **რეგისტრაციისა და ხმის მიცემის ელექტრონული სისტემა...**

ინფორმირებული მოქალაქის გაძლიერება და აქტიურობა გადამწყვეტია

1990 წლიდან დღემდე - ყველა არჩევნების შემდეგ ფიქსირდება უკმაყოფილება არჩევნების შედეგების გაყალბების გამო. თუმცა, გამარჯვებული კმაყოფილია. მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა წავიდა ხელისუფლებიდან არჩევნების შედეგად. მანამდე გვქონდა ორი რევოლუცია...

არჩევნებამდე ხალხთან ახლოს მყოფი ოპოზიცია, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ზრდის დისტანციას... თუ პარლამენტს გარეთ დარჩა, ზრუნავს არჩევნების შედეგების მონიტორინგსა და დაცვაზე... საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე... მოქალაქეთა ნაწილი არჩევნებზე არ დადის „მაინც გაყალბდებას“ პრინციპით.

არჩევნების ეფექტურობა დამოკიდებულია დემოკრატიის ხარისხზე, დემოკრატიული ინსტიტუტების სიძლიერეზე და ინფორმირებული და გაძლიერებული მოქალაქეების აქტიურ ჩართულობაზე.

არც ერთი პოლიტიკური სისტემა არ არის გამოწვევებისა და ნაკლოვანებების გარეშე და დემოკრატიები მუდმივად უნდა ცდილობდნენ აღმოფხვრას ამომრჩეველთა აპათია, უთანასწორობა და კორუფცია. ამომრჩეველმა კი, რომლის კეთილდღეობას სახელმწიფო განსაზღვრავს, გაითვალისწინოს - ქვეყნის შიგნით და გარეთ, ყველა პრობლემას აგვარებს მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება.

ასე, რომ გზები უნდა დავუვიწროოთ „მაინც გაყალბდებას“...

როგორ? ამაზე მომდევნო ჩანართში!

ჩანართი მომზადდა პროექტ „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს (National Endowment for Democracy) NED -ის პოზიციას.